ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №3/151

(მომსახურების შესყიდვაზე გამარტივებული საშუალებით)

ქ. თბილისი 14 სექტემბერი 2012წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი კანცლერის მოვალეობის შემსრულებლის, მამუკა კალმახელიძის სახით (შემდგომში წოდებული "შემსყიდველად") და მეორეს მხრივ მოქალაქე ნათია გოგიტიძე (მცხოვრები ქ. ქობულეთში) სახით (შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად"), ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს თსსუ-ში სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით ღონისძიების მომღერალთა ჯგუფით („მეგი გოგიტიძე და ბენდი") მომსახურებას (CPV 92312120).

2.მომსახურების გაწევის წესი და ღირებულება

2.1. მომსახურების გაწევის თარიღია 2012 წლის 17 სექტემბერი.
2.2. ხელშეკრულების ფასი შეადგენს 1600 (ერთი ათას ექვსასი) ლარს.
2.3. ხელშეკრულების ფასი შეიცავს საშემოსავლო გადასახადს, რომელსაც აკავებს და იხდის შემსყიდველი.
2.4. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით.
3.2. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.
3.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს უფლებრივად უნაკლო მომსახურება.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან.
4.2. ანგარიშსწორების განხორციელებისთვის მიმწოდებელმა უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი.
4.3. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:
5.1.2. უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
5.2. მიმწოდებელი ვალდებულია:
5.2.1. პასუხი აგოს გაწეული მომსახურების ხარისხზე.
5.2.2. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,1%-ის ოდენობით.
6.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი

ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის და თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა.

10. დამატებითი პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	მოქალაქე ნათია გოგიტიძე
ქ.თბილისი, ასათიანის ქ.№7	ქ. ქობულეთი
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703	პირადი № 61004054811
სს თი ბი სი ბანკი, კოდი TBCBGE22	სს საქართველოს ბანკი BAGAGE22
ა/ა GE34 TB11 0000 0000 609 229	ა/ა GE65 BG00 0000 0617 0535 00

თსსუ-ს კანცლერის მოვალეობის შემსრულებელი
მამუკა კალმახელიძე

მოქალაქე
ნათია გოგიტიძე